

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ლელა მარიდაშვილის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი) - ლელა მარიდაშვილი.

თანამდებობის დასახელება - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

ფრაქციის დასახელება - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.

კომისიის დასახელება

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით პროპორციული წესით).

საანგარიშო პერიოდი - 2019 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ნოემბრამდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი.

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 16.

საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 16, მათ შორის 6 სხდომის თავმჯდომარეობა: (სხდომების თარიღები: 2020 წლის 20 დეკემბერი, 2020 წლის 21 იანვარი, 2020 წლის 31 იანვარი, 2020 წლის 26 თებერვალი, 2020 წლის 30 აპრილი 2020 წლის 25 სექტემბერი.)

2. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 6.

ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 6.

3. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები.

4. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
2. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.
3. საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ.
4. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“
5. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.
6. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.
7. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის №18 დადგენილებაში შესატანი ცვლილებები.(5 ცვლილება)
8. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის #20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

9. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების წესების დამტკიცების თაობაზე.
10. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

საკრებულოს სხდომებზე მიღებული ყველა საკითხი მხარდაჭერილია ჩემს მიერ.

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა -სისტემატურად ვხვდებოდი მოქალაქეებს,

როგორც საკრებულოში ასევე მქონდა გასვლითი შეხვედრები ყველა სოფელში.

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

1. სოციალური მდგომარეობა.
2. შიდა საუბნო გზების მოასფალტება,
3. ინფრასტრუქტურული პრობლემები.
4. გარე განათება.
5. დასუფთავების პრობლემა.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები

მოქალაქეებთან შეხვედრების დროს წამოჭრილი პრობლემური საკითხები განხილულია საკრებულოს მიერ და გასათვალისწინებლად გადაგზავნილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

1. მონაწილეობას ვიღებდი სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომებში.
2. მონაწილეობა მივიღე საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებული ონლაინ ტრენინგში.
3. წარმოვაგინე საკრებულო სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში.